2 ქულა ოდესიდან

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 1 ივნისი.

“ჩერნომორეცი” (ოდესა) – “დინამო” (თბილისი) 0:1 (0:0).

“ჩერნომორეცი”: დეგტიარევი, ნეჩაევი, ჩილიბი, კაჩური (ბულანკინი), დამინი (სამოშკინი), სოკოლოვსკი, გოლოვინი, ლოგვინენკო, პოგორელოვი, დოროშენკო, შეპელი.

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე (შენგელია), სულაქველიძე, ყიფიანი, ჩელებაძე (გუცაევი).

მსაჯი: ლ. აკსელევიჩი (მოსკოვი).

გაფრთხილებულია დარასელია.

დუბლიორები – 1:1.

“ჩერნომორეცმა” აქტიურად, სრული მონდომებით დაიწყო თამაში და ტერიტორიულ უპირატესობასაც მიაღწია, მაგრამ ეს უპირატესობა იშვიათად უქმნიდა საფრთხეს სტუმართა კარს. თბილისელები ორგანიზებულად იცავდნენ თავს და სულ მცირე შესაძლებლობასაც უნარიანად იყენებდნენ სახიფათო შეტევებისთვის. “დინამოს” ყველა რგოლი თამაშობდა სწრაფად, ტემპიანად, კომბინაციურად და თუ ვილაპარაკებთ სახიფათო მომენტებზე, თბილისელებს ისინი მასპინძლებზე მეტიც ჰქონდათ. მაშინაც კი, როცა “ჩერნომორეცი” აგებდა და ყველა ღონეს ხმარობდა ანგარიშის გასათანაბრებლად, დინამოელებს ანგარიშის გაზრდის ორი საუკეთესო შესაძლებლობა შეექმნათ.

ერთადერთი ბურთი, რომელმაც მატჩის ბედი თბილისელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა 53–ე წუთზე გაიტანა სულაქველიძემ ჩელებაძესთან გათამაშებული კომბინაციის შედეგად.

“ლელო”, 2 ივნისი, 1979 წ.